

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
ამონაგები	შენ. #1	6 325 981	5 578 809
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ#2	(5 147 645)	(4 492 379)
საერთო მოგება	შენ. #3	1 178 336	1 086 430
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ#4	(163 032)	(145 055)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(785 182)	(743 810)
საოპერაციო მოგება		230 122	197 565
მოგება დაბეგვრამდე		230 122	197 565
მოგების გადასახადის ხარჯი		(22 094)	(17 851)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#6	208 028	179 714
გაუნაწილებელი მოგება წლის		320 217	241 661
დასაწყისში			
ღივიდუნდები		(122 947)	(101 158)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#7	405 298	320 217

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#8	99 486	45 579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#9	720 392	548 413
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#10	364 414	278 990
		1 184 292	872 982
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		93 100	106 076
არამატერიალური აქტივები		-	639
	შენ.#11	93 100	106 715
სულ აქტივები		1 277 392	979 697
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#12	842 114	634 951
შრომის ანაზღაურება		12 520	7 850
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#13	17 460	16 679
		872 094	659 480
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#14	405 298	320 217
		405 298	320 217
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 277 392	979 697

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	6 203 144	6 237 992
გაწეული ხარჯები	(6 184 085)	(6 191 428)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	34 848	(77 893)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	53 907	(31 329)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	45 579	76 908
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	99 486	45 579
შენ. #15		

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უალკოჰოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ. გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშაშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 40 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებულია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის

საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმომოთბილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2022	2021
1	პროდუქციის გაყიდვა	6 184 706	5 558 863
2	მომსახურების გაწევა	141 275	19 946
	სულ ამონაგები:	6 325 981	5 578 809

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 6184706 ლარს, ხოლო მომსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 141275 ლარს. სულ 2022 წლის ამონაგებმა შეადგინა 6325981 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2022	2021
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	278 990	164 584

2	მარაგების შესყიდვა	5 255 971	4 606 784
3	გადამუშავების დანახარჯი	5 170 547	4 492 379
4	საბოლოო მარაგები	364 414	278 990

საწყისი მარაგები 278990 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 5255971 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 5170547 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 364414 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2022	2021
1	სულ ამონაგები	6 325 981	5 578 809
2	პროდუქციის თვითღირებულება	(5 147 645)	(4 492 379)
3	საერთო მოგება	1 178 336	1 086 430

სულ ამონაგებმა შეადგინა 6325981 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 5147645 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1178336 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	130 000	128 000
2	საპენსიო დანარიცხი	1 756	1 672
3	საკომუნიკაციო	5 183	6 113
4	საკონსულტაციო	4 000	4 000
5	დასუფთავების მოსაკრებელი	560	560
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	2 248	1 020
7	ცვეთა და ამორტიზაცია	639	154
8	დაზღვევა	6 108	
9	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	12 538	3 536
10	სულ საოპერაციო ხარჯი	163 032	145 055

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 130000 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 1756 ლარი, საკომუნიკაციო 5183 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებამ 4000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელმა 560 ლარი, ქონების გადასახადის ხარჯმა 2248 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 639 ლარი, დაზღვევა 6108 ლარი და სხვა საოპერაციო ხარჯმა 12538 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 163032 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	307 765	340 485
2	საპენსიო დანარიცხი	4 172	5 286
3	მიწოდების	247 381	215 683
4	საიჯარო ქირა	57 008	55 932
5	საწვავი	121 033	82 056
6	ცვეთა და ამორტიზაცია	47 823	44 368
7	სულ საოპერაციო ხარჯი	785 182	743 810

მუშების ხელფასმა შეადგინა 307765 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 4172 ლარი, მიწოდების ხარჯმა 247381 ლარი, საიჯარო ქირაზე ხარჯმა 57008 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ

მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური.საწვავზე ხარჯმა 121033 ლარი და ცვეთა- ამორტიზაციამ 47823 ლარი. ამრიგად მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 785182 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2022	2021
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	230 122	197 565
2	მოგების გადასახადი	(22 094)	(17 851)
3	მოგება/(ზარალი)	208 028	179 714
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	208 028	179 714

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 230122 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 22094 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 208028 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2022 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #6)

#	დასახელება	2022	2021
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	320 217	241 661
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	208 028	179 714
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(122 947)	(101 158)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	405 298	320 217

საკუთარი კაპტალი წლის დასაწყისში იყო 320217 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 208028 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 122947 ლარით და 2022 წლის ბოლოსათვის შეადგინა 405298 ლარი.(შენიშვნა #7)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	ფული სალაროში ლარში	23 212	13 897
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	72 392	27800
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	3 882	3 882
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	99 486	45 579

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2022 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 45579 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 99486 ლარი.(შენიშვნა #8)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 548413 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 7461236 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 7289256 ლარი და დარჩა მისაღები 720392 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #9)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 278989 ლარი მთლიანად არის მზა პროდუქციის ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 5377005 ლარის მარაგი საიდანაც 5255971 ლარის იყო მზა პროდუქცია, ხოლო 121034 ლარის საწვავ-საცხები მასალა, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 5291580 ლარის

მარაგი, საიდანაც 5170546 ლარის იყო მზა პროდუქცია და 121034 ლარის საწვავ-საცხები მასალა. ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 364414 ლარი, რომელიც მთლიანად მზა პროდუქციის ნაშთია. (შენიშვნა #10)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2021	105 368	708	639	106 715
შემოსვლა	34 848			34 848
ცვეთა	(47 030)	(154)	(639)	(47 823)
კორექტირება	(640)			(640)
ნაშთი 31.12.2022	92 546	554	0	93 100

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც. არამატერიალურ აქტივებში აღრიცხულია დისტრიბუციის სამუშაო პროგრამა. სულ ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 106715 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 34848 ლარის სატრასპორტო საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 47823 ლარი, დაკორექტირდა 640 ლარი და 2022 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 93100 ლარი.(შენიშვნა #11)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 634951 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 6499079 ლარი, გასტუმრებული იქნა 6291916 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 842114 ლარი.(შენიშვნა #12)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში იყო 16679 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 17460 ლარი.(შენიშვნა #13)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 320217 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 208028 ლარი, გაიცა დივიდენდები 122947 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 405298 ლარი. (შენიშვნა #14)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	19 059	46 564
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	34 848	(77 893)
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	53 907	(31 329)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	45 579	76 908
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	99 486	45 579

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 45579 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 19059 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 34848 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 53907 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 99486 ლარი.(შენიშვნა #15)

დირექტორი: გიორგი გელაშვილი